სერგი (გიორგი) საჯაია

სისხლად ამონახველი მწუხრისბჭობა ახალნათოვზე

ციკლიდან „ყოველნი სულნი აქებდეთ უფალსა“

ODERDZI

ციკლიდან „ყოველნი სულნი აქებდეთ უფალსა“

სერგი (გიორგი) საჯაია

სისხლად ამონახველი მწუხრისბჭობა ახალნათოვზე

თბილისი
2019

უაკ (UDC) 328 (9479.224)
ს-372

რედაქტორი **მურმან ხურცილავა**

გამომცემლობის რედაქტორი **ზურაბ ქობალია**

რეცენზენტი **მიხეილ ლაბაძე**

©გამომცემლობა „ზენაარი“, თბილისი, ზანდუკელის 1,
ტელ.: 599 343 727
ელ. ფოსტა: zurkob@gmail.com

©სერგი (გიორგი) საჯაია - სისხლად ამონახველი მწუხრის ბჭობა ახალნათოვზე

ISBN **978-9941-9602-4-6**

მ ურ გ ვ ა

„ალბათ გულიდან სისხლი მდიოდა...“
ტერენტი გრანელი

მურგვა ჯერ კიდევ ლეკვი მაჩუქა იმ მხარეში ცნობილმა ბერძენმა მეჯოგემ და მონადირემ სავა ილიადიმ. ჩვენებური მენახირე ძაღლის ნაშიერი იყო.

იმ დროს ჩემს მშობლიურ ბესლეთის ხეობაში ზოგადსაგანმანათ-ლებლო სკოლის დირექტორად ვმუშაობდი.

იქვე, შვიდიოდე კილომეტრში, მდინარე ბესლეთის სათავესთან იყო ჩემი ოდაბადე, პაპისეულ სახლსა და კარ-მიდამოს ვუვლიდი. მყავდა ორი ძროხა, მისი ნამატი, ღორი, ქათმები, ინდაურები და ა. შ. მოკლედ, პატარა მეურნეობა მქონდა.

ეს სოფელი, სადაც ძირძველი ქართველები, ანუ მეგრელები, მაშასა-დამე აფხაზები (სამხარეო სახელით და არა პასპორტით) ცხოვრობდნენ. მი-უხედავად ბუნებით დაბერტყილი მადლისა, ხელისუფლებისგან რა-ტომღაც მივიწყებული გახლდათ. არ იყო სამანქანე გზა, ელექტროშუქი, ამიტომ, შემორჩენილი ათიოდე კომლიდან ორი თუ სამი ბეხრეკიღა იზამთრებდა აქ. მე პირადად, რაკიღა სოხუმის ძალიან მოხერხებულ გარე უბანში, ტრაპეციის მთასთან ვცხოვრობდი, ნოემბრიდან მაისის დასაწყისამდე ქალაქში მომყავდა დედაჩემი, თან გამოვიყოლებდი საქონელსაც და ჭირნახულსაც. ქალაქის კვალობაზე საკმაო მიწის ნაკვეთი მქონდა, სადაც საქონლის დასაბინავებლად ავაგე კაპიტალური ბოსელი, საღორე, საქათმე... დაცული მქონდა სათანადო ჰიგიენური პირობები (კანალიზაცია, გარეცხვა და ამისთანები).

სოფლის მეურნეობა არც დედაჩემს, არც მე და ჩემს შვილებს არ გვეთმობოდა, ზამთარ-ზაფხულ მას თავისი მომხიბლაობა გააჩნდა, თანაც ზაფხულობით ბავშვები ამაზე უკეთეს ადგილს სად მონახავდნენ დასასვენებლად. რაც შემეხება მე, აქ ჩემს ბავშვობასა და წინაპართა ნაფეხურებს ვეფერებოდი.

ჰოდა, დედაჩემმა მითხრა, ქალაქში რომ გყავს ძაღლი, მურგვა, აქაურობას შევაჩვიოთო. ასეც გაკეთდა. მართალია, როგორც უკვე გითხარით, დედაჩემი ნოემბრიდან მაისამდე ჩემთან იყო ქალაქში, მაგრამ მურგვას, ამის მიუხედავად, საჭმელი და სახრავი ძვლები არ

აკლდა. რაღა დაგიმალოთ, სოფელში სკოლის დირექტორი გავლენიანი კაცი იყო მაშინ და არ მიჭირდა სასაუზმოდან კვირაში სამ-ოთხჯერ ვინმეს ხელით გამეგზავნა ძაღლისთვის სასუსნავი. არც თუ იშვიათად მეც ვაკითხავდი...

დიახ, ზოგჯერ მეც გავიდოდი პაპის პაპის სახლში, ცეცხლს დავანთებდი, მურგვას მისთვის წამოღებულ საკვებს ამოვულაგებდი, ღამეს ერთად, ყებურთან, ნახევრადმძინარედ გავათევდით. მე ათას სისულელეს ვუფრიალებდი, ის ძაღლურად მეწკმუტუნებოდა და ასე გადიოდა თვეები. შემდეგ ისევ გაზაფხული დგებოდა, არემარე კვლავ ცოცხლდებოდა, სოფლის ყოველდღიურობაში შემონაკადებული ჟრიამულის გასწვრივ მურგვას საქმე თავზესაყრელად უგროვდებოდა, საქონელს საძოვარზე გააცილებდა, მიდამოზე თვალი ეჭირა, გარეშეს მის დაუკითხავად არ მოესვლებოდა. მოკლედ, მურგვა თავის ძაღლურ მოვალეობას უშურველი შრომისმოყვარეობით ასრულებდა.

სხვათაშორის, ერთ შემოდგომაზე, როცა საქონელი გამოსაზამთრებლად გამოვრეკე, მურგვაც გამოვიყოლიე. ის, 25 კილომეტრამდე გზა, სვენებ-სვენებით გამოვიარეთ.

მურგვა, თითქოს, შეეწყო ახალ გარემოსაც და დამხდურებსაც, მაგრამ, ასე, ერთი კვირის შემდეგ, ერთ დილით შევამჩნიეთ, რომ სახლში არ იყო. აღმოჩნდა, რომ იმხელა გზა მარტოს გაევლო და უკან, სოფელში მიბრუნებულიყო. რას ვიზამდი, განვაახლე სამურგვო ღალა.

იმ ზაფხულს სოფელში სახლის სახურავზე ყავარი უნდა შემეცვალა შიფერით. მუშებს მასალა ზევით აეტანათ და მუშაობდნენ. მეც დავაპირე სახურავზე ასვლა. მურგვა წინ გადამიდგა და შემიღრინა. გამიკვირდა, როგორც წესი, ის ყოველთვის მეალერსებოდა, ახლა კიდევ ლამის დამკბინა. მოშორება ვცადე, მაგრამ არ შემეპუა. ამ კინკლავში რომ ვართ ისე, ზემოდან მუშებს ერთი შიფერი ჩამოუსრიალდათ და ჩვენს წინ დაენარცხა მიწას. მურგვას რომ წამით ნაკლები დავეყოვნებინე, შიფერი თავს უეჭველად გამიხეთქავდა.

ერთხელ რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე უნდა წავსულვიყავი. დილაუთენია მურგვა კუტიკართან ამეღობა. მიღრენდა, ლამის დავეკბინე ახლაც. სახრე მოვუქნიე და მოვიშორე. რაღაც საფარსაგო ყეფა გამომაყოლა. იმ საქმეში ისე გავწამდი და ისეთი ახლობლის ორპირობას გადავაწყდი, ნეტა, ყურად მეღო მურგვას შემოღრენა.

საერთოდ, მურგვა თითქმის არ უყეფდა ეზოში შემოსულს, მაგრამ აქაც ერთი ჩემი უახლოესი მეგობარი ჰყავდა ამოჩემებული, რომელიც

ხშირად ამოდიოდა სოფელში. სანამ ეს კაცი ეზოში იყო, მურგვა მის დასაგლეჯად იწევდა. ორი დღე რომ დარჩენილიყო აქ, ის გაავებულ ყეფას ერთი წუთითაც არ შეწყვეტდა. როგორ არ დავსაჯე ამისთვის, მაგრამ ვერ მოვაშლევინე. სათქმელს წინ გავუსწრებ და ბარემ, იმასაც გეტყვით, რომ ამ „უახლოესისაგან“ მე სასიკვდილოდ გამეტებული და ნაღალატევი ვარ დევნილობის სარალო გზაზე, ასე რომ, აქაც მურგვა ჩემზე წინგახედული აღმოჩნდა...

წლები გავიდა. იანვრის თვე იყო, ახალი თოვლი იდო და ციოდა. ერთ დილით, სკოლაში მისულს, ზედ კაბინეტთან დამხვდა მურგვა. გამიკვირდა, რადგან იმ სკოლასთან არასოდეს მყოლია მას მერე, რაც სავამ ორი თვის ლეკვი მომიყვანა მანდ.

მთელი დღე არ მშორდებოდა. სასაუზმიდან სასუსნავი გამოვუტანე, მაგრამ პირი არაფრისთვის დაუკარებია.

რაკი პარასკევი იყო და შაბათ-კვირას ვისვენებდით, გადავწყვიტე მურგვასთან ერთად წავსულიყავი და ის დრო მასთან გამეტარებინა სოფლის სახლში. რა თქმა უნდა, თან წავიმძღვარე ჩემთვისაც და მურგვასთვისაც ღალა. შევატყვე, გახალისდა და საალერსო წკმუტუნით გამიძღვა წინ. სახლში ცეცხლი დავანთე, მასთან ერთად ყებურს მივუჯექი. ის ღამე და შაბათიც ერთად გავატარეთ. მე და მურგვამ სულ შემოვიარეთ თოვლიანი მიდამო.

კვირას, დილით ადრე ავდექი, რათა ქალაქში, სახლში წავსულიყავი, რაღაც საქმეები მომეგვარებინა. ორშაბათს ისევ სკოლაში უნდა ამოვსულიყავი.

მურგვა ღელემდე მომყვა. ბოგასთან მიირბინა და ასასვლელთან გაწვა. როგორც კი მივუახლოვდი, ბრაზიანად შემომყეფა, დამიღრინა და მომეჩვენა, თითქოს მზად იყო, დავეკბინე კიდეც. მოკლედ, არ მიშვებდა. როგორ არ ვეფერე, გავუწყერი, სახრეც მოვუქნიე, მაგრამ ბოგადან ვერ გადავიყვანე. გადავწყვიტე ქალაქში წამომეყვანა, ჰალსტუხი მოვიხსენი და კისერზე გამოვაბი, მაგრამ თავი მოიკლა და ნაბიჯი ვერ გადმოვადგმევინე. რაღას ვიზამდი, მურგვას ჭკუაზე ხომ არ ვივლიდი. საბელი ავხსენი და ბოგა გამოვიარე, ის იყო, გავედი, ამ დროს თავზარდამცემმა კივილმა მომაბრუნა. მურგვა კიოდა. დიახ, წინა თათებზე დამხობილი თოვლის ქვეშ ბელტს კბეჩდა და **კი არ ყმუოდა, - კიოდა.**

ადგილზე გავქვავდი. რაღაც წამებში სხეულში სიმძიმე დავკარგე, ტანს ჩემად არ ვგრძნობდი, უფრო სწორად, უსხეულო მომეჩვენა თავი. თავზარდამცემი ძრწოლა მომესხეულა.

არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც ვიტყვი, ისეთი განცდა ჩამეფესვა, თითქოს ამ მიწიდან ვიღაცას ჩემი აღლეტა სურდა. უფრო ცხადად რომ ვთქვა, არ ვიცი რას, მაგრამ რაღაც ადამიანად ყოფნის ხაწას მართმევ-დნენ თითქოს. მოვტრიალდი, მოზვრისხელა კი იყო, მაგრამ ვიფიქრე, სულაც ხელში ავიყვან და ისე წავიყვან მეთქი ქალაქში. მივუახლოვდი თუ არა, წინა თათები თოვლს დასცხო ისევ, კვლავ გაშმაგებით ჩაკბიჩა თოვლის ქვეშ მიწა და სახლისკენ გაიქცა მოკლეზე.

ორიოდე დღეში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მიმავლი-ნეს თბილისში, სადაც ორი თვე დავყავი. ვისაც საჭირო იყო, დავუბარე, საჭმელი მიეწვდინა მურგვასთვის.

გავიდა ეს დროც და დავბრუნდი. აპრილის პირველი დღეები იყო. სამსახურის შემდეგ, აყვავებულ ბუნებაში, ჩემი ოდაბადისკენ გავლა მო-მეხალისა და ფეხით გავუყევი გზას სახლისკენ. მურგვასთვის მთელი შეკვრა ძეხვი მიმქონდა. მივედი, კუტიკარი შევაღე. მურგვა საალერსო წკმუტუნით არ მომგებებია. გამიკვირდა. ბაღში გავიარე, არსად ჩანდა, სახლის უკან გავედი, ტყეზე გასავლელ ოლაგესკენ გავიხედე, რაღაც სა-ეჭვოს მოვკარი თვალი. მივუახლოვდი. მურგვას ჩონჩხი უმწეოდ ეგდო ღია ცის ქვეშ. არ ვიცი რა, მაგრამ ვიგრძენი, რომ გულზე მომათალეს რაღაც.

ავიღე ბარი და ჩემს ბავშვობაში გაშენებულ ყვავილნარში ამოვთხა-რე ორმო. შემდეგ მურგვას ძვლები ზეწარში გავახვიე და ფრთხილად მივაბარე მიწას.

ჟამმა თავისი ჩაიკრიალოსნა. შემოშლიგინდა უნდობარი დროც. ღმერთო, შემინდე, იქნებ ვცოდავ, რომ ვადარებ, მაგრამ მთელი ჩემი სიცოცხლე ხანძრად მინთია გულში, დიახ, ასეა ეს - 1992-93 წლებში ჩვენი უბედური ქალების კივილი ისეთივე განწირული და ძრწოლის მომგვრელი იყო, როგორც მურგვას ის აკივლება მაშინ.

სწორედ ეს ადგილი მესიზმრა ჩემი სახლის ჭერქვეშ გათენებულ უკანასკნელ ღამეს - 1993 წლის 20 სექტემბერს. იმ დღეს მომხდურმა მტერმა ჩემი სოფელი აიღო და გადამიწვა სახლი. ერთ კვირაში კი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, ანუ აფხაზეთი ერთიანად იყო ცეცხლში გახვეული და ქუჩებში ეყარა დაუმარხავი ცხედრები.

მე კი დღემდე ვერ ამიხსნია ერთი რამ, რა მომისამძიბრა მურგვამ მაშინ და რამ მოკლა საღ-სალამათი ძაღლი?!

დავბერდი. ამასობაში რა არ გამოვცადე, რანაირი პირუმტკიცობა, მოგვერდი და შუაკაური დამეგრიგალა იმათგან, ვისაც ააღმართებაში

შევაშველე ხელი, ამიტომ ცოტაა ისეთი რამ, რაც გამაკვირვებს. ერთი კი ცხადია, ადამიანთა შორის ორიოდეა, ვისაც იმგვარად ვეძვირფასე, როგორც მურგვას.

ასეა თუ ისე, მურგვას ძვლები ჩემს ყვავილნარში აბარია მიწას. ყოველი წლის ყვავილობა ჩემგან მოფერებად დაეფიფქება მას.

მე რა მეშველება, მე, ჩემს ოდაბადეში რომ არ მიწერია დამარხვა! - რას სცოდავ, ქართული მიწა ხომ ყველგან ერთიაო, მეტყვით თქვენ.

- კი, ერთია, მაგრამ ყოველთვის არ არის სულერთი, ამ მიწაზე თუ რომელ კუთხეში გექნება საფლავი!

2013 წ.

დაიბეჭდა წიგნში „რაგადობანი უხვალდღეობის დღესასწაულიდან“, თბილისი, 2013 წ.

ღ ა ზ ო

„ყოველნი სულნი აქებდეთ უფალსა...“
ფსალმუნი დავითისი;
დაცლილან ნასახლარები,
ზოგნი სულ წმინდად აყრილან,
ამ სოფელს აღარ დამდგარან,
იმ სოფლის მკვიდრნი შაქმნილან
ხალხური;
„ეძებს, უზახის, უყივის, დღეებრ ღამეთა მთეველი ...“
შოთა რუსთაველი

* * *

ძაძუ მიქენახეს, რომელიც ძიძად მერგებოდა, 15 წლის შვილი-შვილი მოუკლა დენმა. მისამძიმრება არ გადამიდვია, უმალვე ავედი მათთან.

მადლი მომაგო და მოთქმით დააყოლა: ხომ ხედავ, მე, საკუბოვე, ჯერ კიდევ ფეხზე ვდგავარ. გული კი არა კაჟი მქონია, მაგრამ აწი რომ მელის, ის ფარსაგი თქვი შენ, რკინაც ვერ გაუძლებს მას. ქო, ნანა, თაშ რე (ასეაო): <u>ანწი მაკათაფალ ჭყვადა რშუდას, სკუა (სამყოზადო მუსრი (ამოწყვეტა) გახსოვდესო, შვილო!).</u>

ეს საზარო მერკიაფა უბედურება დამტყდარი და ჭერჩამომხობილი ადამიანისთვის ჩვეულებრივ მდგომარეობად ჩავთვალე.

სხვა რა უნდა მეფიქრა, კი იყო ზოგიერთი ჟღარუნი, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ანუ აფხაზეთში საომარი ავანტიურისათვის ჩვენებურთაგან არავინ იჭერდა თადარიგს მაშინ: ამ ზომამდი არც გვჯეროდა და არც ველოდით იმას, რაც მოხდა.

... იმ ომში მიქენაიების ლასკარიდან არც არავინ გადარჩენილა. თვითონ ძიძაჩემი მტრის გამოსროლილი ჭურვიდან ანანამცეცმა იმსხვერპლა სოხუმის დაცემის დღეს და ერთხანს, ათასობით სხვასთან ერთად, დაუმარხავი ეგდოო ჭირისუფალგამოძევებულ მშობლიურ ქალაქში.

ის უბედურება, <u>ჩვენთან ჭყვადას რომ ეძახიან</u> და აწი უნდა შემოგვფეთებოდა, დაუკითხავად მეც თავზე თივის ზვინის გადაწვად გადმომეთავზარა: 1993 წლის 20 სექტემბერს, როდესაც მომხდურებმა იაშთხვა აიღეს, პირველად ჩემი სახლ-კარი გადაწვეს.

სახლი, რომელიც წელისწყვეტით ავაშენე და რომლის თითოეულ აგურს თოთო ბავშვივით ვიყავი მონაფერები. ის კი არადა, ყოველ მათგანს სიმწრის ოფლში ამოვლებით ვამუხლმაგრებდი კედლად, ახლა კი, - ჭყვადად გასაგნებულ ამ წუთში, ჩემი ოდაბადის ქუდ-ზეკაცობასთან ზურგით არ მდგარი, თავის ღირსებაში საძირკველ-აუკანკალებლად, დიდი ფშავლისა არ იყოს, „-**ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისად**“-ად იწვოდა.

ასე მგონია და, ეტყობა, ასეცაა, მან - ჩემი საადამიანო ავ-კარგის სადაურობად დასაწყობებამ, ჩემს ნაცვლად მიუშვირა მტრის ტყვიას „საკირის **ცეცხლ ჩანთებული**“ მკერდი (ისევ უმწვერვალესს ვე-სესხე).

მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ. ადამიანთა არაერთი პირუმტკიცობა, ღალატი, ვერაგობა, ჩასაფრება, ციდაკაცობა და ა. შ. ამეგასწვრივა ჩემი ცხოვრების სვლაგეზზე.

დავმარხე ჩემთვის ძვირფასი ადამიანები. სასახლიკაცო სიიდან ამოვშალე ათობით მოვერაგე... საოხვამურო ტაბაკიდან გავრიცხე ძალიან ბევრი ორპირი.

საშუალება მომეცა, საფუძვლიანად ჩამეხედა ქვეყნის ვერმოპა-ტრონე ხელისუფლების თაღლითობებში. დავრწმუნდი, რომ ბო-როტმოქმედება ე. წ. სახელმწიფოს სადღეისო ყოველდღიურობაა.

სოხუმიდან ჩემმა ყოფილმა მოსწავლემ დირმიტ აბრევანიძემ (აფსუამ) გამომიგზავნა ვიდეომასალა, რომელზედაც აღბეჭდილია ჩემი ნასახლარი: ნაოფლარ საკარმიდამოში უსაფლავო ჩონჩხივით ყრია დამწვარი სახლის ნარჩენები. შემოსავლიან ბაღად გადა-ქცეულა აი, ამ მარჯვენით გამოყვანილი ნამყენები, რომელთაც ჰამპარ სტამბოლიანის ბაცაცა შვილიშვილები კრეფდნენ.

ნანახმა ვერ ამაფორიაქა სიკვდილს შიგ სიფათში ჩანახედი, და-სახვრეტად განაყვანი კაცი. გულქვად ვიდექი და <u>იმ უარეს ჭყვადა-ზე ვფიქრობდი, აწი რომ გველოდა.</u>

ასეთ მილევად მდგომარეობაში თავს მოხვეულ განმარტოებას, უფრო სწორად - მარტოკაცობას ვუდღისწესრიგებ საველე წესით სულის ჩასანგრებას ჩემს ქანცგამოცლილ, მაგრამ ყავლგასვლისკენ ვერ გადათრეულ სხეულში: ამასობაში ირგვლივ ჭაობური დემო-კრატიის ჭუჭყში ახალ ერად მკვიდრდება სიმრავლე, რომელსაც სუ-ლიერი სისუფთავე არ გააჩნია. უვინაობაში თავდადგენა თავისუფ-ლება ჰგონია მას. ვცდილობ, მაგრამ არ მესმის მისი დედაენა.

ამ ფეხაწყობის სულისკვეთება და ღირებულებათა შინაარსი პირწმინდად მომხმარებლური, მეტიც, აღებ-მიცემობითი და უფ-ლისწვდომისადმი მიმდგომლურიც კი გახდა. სწორედ ამიტომ ასე-თი სიმრავლე არ ცდილობს სულის მადღესასწაულებელ ვინაობაში გაყოველდღიურებას, მისი უნჯი ლაფსა და სალაფავში ნებივრობაა.

ჩემი მსჯელობით ვასკვნი, რომ ამ არტელში მთელი კაცობრიუ-ლი მანკი ქართულ ხასიათად (ნუ, საქართველოა!) უნდა გამოცხა-დდეს.

ცხადია, ქვეყანამ დაკარგა შინაარსი და ეპოტინება უარავინო ფორმას.

ის, რომ მსოფლიოს თვალწინ „ხოში მაქვს და ვაკეთებოს“ წესით ყოველდღიურად ქვეყნის სიღრმისაკენ მოცოცავს დამპყრობთაგან აღმართული სასაზღვრო მავთულხლართები, ამავე დროს ქართუ-ლი მიწებიდან, დღე ერთია და, ათობით თანამოძმეს - გუთნისდე-დას, მეჯოგეს, საფლავზე მოჭირისუფლე დედაბერსა და ხეიბარს, ჯონჯოლის საკრეფად ტყეში გასულ მოშიებულს „საზღვრის დარღ-ვევის“ ბრალდებით აპატიმრებენ, აუპატიურებენ, აწამებენ... სულაც ერთ ადგილზე ჰკიდია ყურდახშობილ ზეპურობას.

გასაგებია, ნამესტნიკ „ხელისუფლებას“ ეს არ აღელვებს, მაგრამ არც საზოგადოებას ულახავს ის ღირსებას და არ მიიჩნევს სულში ჩაფურთხებად ამ დამცირებას. იგი, დანაშაულებრივ უნიათობაში მოყოველდღიურე, ქართველი ერისთვის ისეთივე მოვლენა გახდა, როგორც ქუსლის მოფხანა: ამ დროს ქვეყანა იმის წივილ-კივილშია, როგორმე „ცხრა ძმა ხერხეულიძეობას“ გაუიგივდეს ნარკოტიკის მოხმარება, ხოლო ერთნაირსქესიანთა ქორწინების სათნოების ნიმუშად დაკანონება, ლამის ისეთივე ყოფნა-არყოფნად იქცეს, დიდგორის „ძლევაი საკვირველის“ წინმსწრებად რომ აქუდზე-კაცებდა სრულიად საქართველოს.

თაობა არ ისიგრძეგანებს, რომ ქართული ცნობიერების მოსა-შლელად „ჭაობურ“ დემოკრატიას სჭირდება იმ გარემოს განად-გურება, რომელშიც წარმოიშობა და იბადება ღვთივსათნო ვინაობა, ანუ ღვთისმშობლის წილხვედრილობა. ქართველი კაცი ინტე-ლექტით, ქრისტესმხედრობითა და გიორგიანელობით იმარჯვებ-და, ამიტომ ვერ ვეტყვი საზოგადოებას, რომ მასში არ არის ის, რაც მე მძულს და რასთანაც არ დავზავდები.

მინდა თაობას კეთილმოსურნედ შევღაღადო: ვინც ღვთის-მშობლის წილხვედრილობას არ უფრთხილდება, ის ღმერთს ეურ-ჩება და ეშმაკის მსახურად იდგენს თავს, ანუ მტერია.

ვერ ვაგებინებ.

ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ შემოვერაგებულმა წვრთნაშეუსმენ-ლობამ წმინდა ილია მართალსაც, საბედისწეროდ, თავაწყვეტილი ყურდახშობა მიაკაშხალა:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..“

ასეა, ვერ გავემშობლიურე ამ სიმრავლეს. თუმცა, ქართული საზოგადოება კი ჰქვია, რომელსაც წიხლამორტყმული საჯდომით შეუძლია, სარეცელში გულისსწორს ამოუწვეს.

მე ღირსების კარნახმა და სირცხვილის ამბოხმა ამაღებინა იარაღი ჩვენს სამამულო ომში, თორემ...

...და რადგანაც სირცხვილი, როგორც ზნეობის სალესი, ყავლ-გასულ შინაარსად გადააქცია თაობამ, ამიტომ კიდევ ერთხელ გე-უბნებით, სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, ჩვენ სხვადასხვა ენაზე რომ ავლაპარაკდით, - საქართველო ჩემთვის სამშობლოდ, ანუ შეუგი-ნებლობად დარჩა, მათთვის თვითდასამკვიდრებელ პოლიგონად იქცა.

* * *

დასახლებაში, სადაც მეტრომშენის საერთო საცხოვრებლის კენტ ოთახში დევნილობის მერე დავმკვიდრდი, აქედან ასიოდ მეტ-რში ერთი ოცწლოვანი თვითნებური სანაგვე იყო, სიბინძურისა და ქვეწარმავლების ბუდე.

ოდესღაც აქ რაღაც სახელოსნო ყოფილა.

პირველხანებში დევნილებს შეეძლოთ ასეთი მიტოვებული ად-გილების გამოყენება.

უნდა დაიჯეროთ, შვიდასი ურიკა ნაგავი და ქვა-ღორღი გავზი-დე აქედან, ამდენივე გზობა მიწა მოვიტანე ხევიდან.

დავრგე ხეხილი, ვაზი, მოვიყვანე მწვანილი, კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი...

სამ-ოთხ წელიწადში ხეხილმაც და ვაზმაც თავშესაქცევი მოსავალი მომცა.

ყოფილი სახელოსნოც ნელ-ნელა გავასუფთავე, რაღაცეები შევაკეთე, ახლად გამდიდრებულთა დაწუნებული და მათი ბინიდან გამოძევებული საწოლი, ტახტი, სკამები და ა. შ. ვიჩუქე და მათი თანხმობით შევიტანე, მაგიდა დავდგი, შუქი გავიყვანე, კარები ჩავსვი, ფარდულად დავიდგინე, კლიტე დავადე, ბაღი შემოვღობე.

ერთხელ ნაკვეთში გასულმა შევნიშნე, საერთო კვალიდან განზე ამოსულ ლობიოს სარი არ ჰქონდა და წვალობდა, მოხდა ისე, რომ ეს საქმე მიმრჩა. სამი თუ ოთხი დღე არ შემივლია იქ.

როდესაც სარის მიყავარჯნება მოვინდომე, დაუჯერებელი რამ ვნახე, - ცოტა მოშორებით აშხვართულ სიმინდს ისე გამოეწვდინა ფოთოლი, ლობიოს ისღა დარჩენოდა, დანდობილად ახვეოდა მას.

ახლა თქვენ დამისახელეთ ამ გენმოდიფიცირებული სულის თაობაში უფრო უკეთესი კეთილმეზობლობა ან სახლიკაცობა!..

* * *

ერთ დღეს, აწ უკვე ჩემს ბაღში, ანუ ყოფილ ნაგავსაყრელში, უბნის რომელიღაც კორპუსიდან, ადრინდელი საძრახი ჩვეულებისამებრ, ვიღაც უსინდისოს ნაგვის ფუთა მოესროლა, რომელიც ბლის ტოტს გამოსდებოდა.

მასში ერთი გამეტებული კნუტი, ეტყობა მთელი ღამის განმავლობაში ნაწვალები, ძალაგამოცლილი კნაოდა.

ფუთა ფრთხილად ჩამოვხსენი, კნუტი ამოვიყვანე, ძუ იყო. ფარდულში შევიყვანე და საძილე ყუთი გავუწყვე. შიგ ჩავსვი. კნავილს სუსტად, მაგრამ დაჟინებით განაგრძობდა, სიცოცხლეს ეკლანჭებოდა, სააქაოს ემარწუხებოდა.

რძეზე გავიქეცი. საწოვარაც გამოვიყოლე, მერე ავუდუღე, გავუნელთბილე და ვაჭამე. ორივე თათით ჩამებღაუჭა, მომემშობლიურა, თითქოსდა გამისისხლითნათესავდა, მეტიც, შემომისახლიკაცდა და საბინადრო თანხმობის ნიშნად კრუტუნი დაიწყო.

ასე გავიჩინე საქმეც, ყოველდღიური მიზანიცა და, ღმერთო, ნუ მიკანონებ, ხმის გამცემიც, რადგან, განსხვავებით ყურდახშობილი საზოგადოებისაგან, მკაფიოდ გვესმოდა ჩვენ ჩვენი ავანჩავანი.

ერთბაშად აღმოვაჩინე: ჩემს ირგვლივ ყველასთან და ყველაფერში შემოქსოვილი სახაზინო ურთიერთობა, რომელიც

მთელი ეს წლები გადავლის წესით მომეარტახა, საშეღავათოდ გასიფრიფანდა თითქოს, ამავე დროს ვიგრძენი ისიც, რომ გენმოდიფიცირებული საზოგადოების გასწვრივ ამეთანამგზავრა და შემომილასკარდა ბუნებრივი, არაფაბრიცირებული შინაარსი (მერე რა, რომ ის ორფეხი არ გახლდათ). იგი თავისი ჯიშისმიერებიდან ჩაუსაფრებელი კეთილმეზობლობით მიჭერქვეშდებოდა.

ღაზო დავარქვი (მოქიშპეების მიმართ მისი სამუქარო ხორხისმიერების წაბაძვით). ამ ოთხ ბგერაში უზარმაზარი მოფერება ჩამექვითკირა: ის გახდა ჩემი საუბრების თანამორაგადე, ტკივილების თანაზიარი, ჩემი ობლობისა და მარტოკაცობის მეიავნანე, ფიქრების ამძრავი ღვედი, სიკეთისკენ წამქეზებელი, ნადი შრომაში, წამგაუცდენელი მედღეური ჩემი სულიერი უსაფრთხოების, დარაჯი ხელშეუხებლობის, სურვილი მიწაზე განაბიჯების, მეხსიერება ჩემი ვინაობა-რაობის გასასიგრძეგანებლად...

არადა, მაინც რა ხვედრი ერგო ჩემი პაპისპაპის ლასკარს: სულ ცოტა, ორი საუკუნის დევნილობამ წინაპრების საფლავებით გამინიშანსვეტა დადრაჩემის გამნარყოთა განგებისმიერ აქარავნებებში საკომლო დასადგურებათა წამზომმიხრახნილი საბინადრო ყოვნი, რასაც მოჰყვა ჭირისუფალდანატრებული საფლავები ტრაბზონში, სოხუმში, სირ-დარიაში, ტაშკენტში, ჯამბულში, ათენში, სანკტ-პეტერბურგში, თბილისში...

ამაზე ფიქრის დროს ერთადერთი, ვინც ჩემს უხმო მოთქმას ყურდაუხშობლად უჩონგურებდა თავის შემოჰანგებას, ღაზო იყო, ჩემი ლამაზი და ჭკვიანი ღაზო!..

* * *

თებერვლის პირველ დღეებში დამაკდა და სადღაც აპრილის ათისკენ ხუთი კნუტი მოუვლინა ამ ცოდვილ ცისქვეშეთს.

... იმ დღეს, დილიდანვე ბაღში დავსაქმდი. ღაზომ კნუტები დააძღო და ჩემთან მოვიდა, მოფერება უნდოდა. თოხი ხეს მივაყუდე, ავიყვანე და მკერდში ჩავიკარი.

დიდხანს მეკრუტუნა, მეცეკვა, ლოყაზე მისვამდა თავს. შიგა და შიგ ვიღაცას თუ რაღაცას წეღან ნახსენებ მუქარასაც უმისამართებდა, როგორც განმარტებას თავისი მიწიერობის შინერსზე ანუ ღვთივნებადართულობაზე.

ამასობაში ნაშუადღევისკენ ჩავაკრიალოსნეთ დრო. ეტყობა, ეშმაკი შემიჩნდა და ხელგამოღება მოვინდომე, ღაზო ღობის ბოლოს დავსვი და თოხნა განვაგრძე.

ასე, ერთ საათში, კარგა მანძილიდან, რაღაც ჩოჩქოლსა და ძაღლების გნიასს მოვკარი ყური, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია.

ოციოდ წუთში დავინახე, რამოდენიმე ბავშვი ჩემსკენ მორბოდა, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ერთ-ერთ მათგანს კატის საყელური ეჭირა, რომელიც რატომღაც ისეთივე იყო, ღაზოს რომ ეკეთა, მაგრამ გამიჭირდა მიზეზ-შედეგში გარკვევა.

<u>იმწამსვე ცივი ოფლით დამისველდა ტანი. მივხვდი, რომ რაღაც ცუდი მომხდარიყო, რომელიც მე მეხებოდა</u>. ერთბაშად უსიერ არა-ფერში აღმოვჩნდი, რასაც სახელს ვერ ვარქმევ, სიცხადეს ვერ ვხედავდი, არ მესმოდა, ხმას ვერ ვიღებდი, საკუთარ სხეულს ვერ ვგრძნობდი, ლამის ჰაერში ამაბუმბულებდა რაღაც.

- ძია, ეს საყელური თქვენი კატისაა, - გავარკვიე როგორღაც ბავშვის ნათქვამი.

- კი, ეგ ჩემი კატისაა, მაგრამ კატა სადაა?

- კატა მოკვდა. ძაღლებმა დაგლიჯეს, სამი დიდი ძაღლი იყო,

- ვერაფრით გავაგდებინეთ. მოკვდა. ნაგავში გადავაგდეთ.

უწონადობა ვიგრძენი ისევ: ეს იყო თავზარიც, დაობლებაც, შემაძრწუნებელი გაუკაცრიელებაც, სულის ჩაწალდვაც, გულის ჩამოსხეპვაც, ყველაფერს ერთად კი უმწეობა ერქვა, ვერაფერს ვცვლიდი.

უცებ რაღაც ხავსისმაგვარ იმედს ჩავებღაუჭე, - კატაა, ასე ადვი-ლად არ მოკვდება, - გამიელვა თავში და გავიქეცი სანაგვე ორთვა-ლისკენ.

ბავშვები უკან მომდევდნენ, ცელოფნის პარკზე მიმითითეს.

ხელის ცახცახით ამოვიღე, სასწაულის მოლოდინში გავხსენი და ჩავიხედე.

ღაზო, სისხლში ამოსვრილი, მაგრამ ჯერ კიდევ თბილი, თვალ-ღია იყო... <u>იმ მკერდში ჩავიკარი, მთელი დღე რომ ემშობლიურე-ბოდა.</u>

ბაღისკენ წამოვედი. არ ვიცი, ეზოში მყოფთა თვალში რანაირად გამოვიყურებოდი, მაგრამ, ჩანს, უსაზღვროდ საცოდავი ვიყავი, რადგან, მართალია, მურუჟად კი ვიხსენებ, მაგრამ რასაც შეძლების-

დაგვარად ვიმკაფიოებ, იმ გამოხედვებში ვერ ვლანდავ, ვინმეს დამცინავად ეკადრებინოს თვალის გამოყოლება.

ღაზო ნელა დავაწვინე ტახტზე, თავისი კნუტების საბუნაგედ მიჩენილი ყუთის გვერდით.

თვალები ისევ ღია ჰქონდა. მზერა ჩაუმქრალი მომეჩვენა. იმედი მომეცა, მით უფრო, რომ ძუძუების მიდამო თბილი, ფუმფულა და ვარდისფერი იყო ჯერ.

რაღაც აუხსნელი გაგებინების საშუალებით მანიშნა, ვერ გეტყვით რანაირად, მაგრამ მანიშნა-მეთქი... კნუტების მისმა მთხოვა.

ხუთივე მივუსვი. მაშინვე დაინაწილეს სათავიანთო ძუძუები.

იმედით სავსე უბედნიერესი კაცი ვიყავი: დაუხამხამებლად ჩავხედე კი არა, პირდაპირ თოლიგედ გავანათურე თვალისჩინი. წამში მიწაზე ვერდატეული ნეტარებით გამიყარა თვალი თვალში. ამას საიავნანო კრუტუნი მოაყოლა. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ავფრინდი.

ერთი ამოიკრუტუნა, მეორე, მესამე და მეოთხეზე სისხლთან ერთად ამოახველა ნაწამები სული.

ვიბღავლე, მაგრამ ვაღიარებ, ეს არ გახლდათ მარტო ღაზოს შეცხადება, - დავსტიროდი ჩემს მარტოკაცობას, ოდაბადის გასხვისებას, ძვირფას საფლავებს, ღირებულებათა განაგვებას, ჩემი ერის მილევადობას და თაობის წვრთნაშეუსმენლობას.

შუაღამემდე ვიჯექი ტახტზე, ღაზო მკერდში მყავდა ჩაკრული. ნელა, ზარმაცად ეხუჭებოდა თვალები და იმავდროულად შეუბრალებელი თანმიმდევრობით უშეშდებოდა ლამაზი სხეული. ჯერ-ჯერობით მაძღარ კნუტებს ეძინათ, ხვალ მიწიერი სისასტიკე უთენდებოდათ.

რაღაც დროს გავიხადე პერანგი, სათუთად გავახვიე მასში ღაზო და იქ გავუთხარე სამარხი, სადაც უკანასკნელად დავსვი უხანო მიწაზე.

14.05. 2017 წ.

დაიბეჭდა გაზეთებში „ილორი“ (2017 წ. 20 ივნისი) და „ლიტერატურული საქართველო“ (2017 წ. 23 ივნისი).

ქენჯნის თვითგვემაში გამოგლოვილი

„ხარსა მეკალოესა პირსა ნუ დაუკრავ“.
მეორე სჯული - 25, 4;
„ვერ მოერევი შენ იმას, ვინაც დღე გამიწყვდიადა“.
ვაჟა-ფშაველა;
„მზერას მტაცებს საყდარი. ველზე გათხრილ სამარეს
ვაკვირდები შორიდან, როგორც მიწის ჭრილობას“
ტერენტი გრანელი

1944 წლის ნამაისევს ხოთო დარსალიას სოხუმის რაიონის სოფელ გვარდაში გამოთხოვილი ქალიშვილისაგან, ნორასგან შვილიშვილი - ჯანიკო შეეძინა. ხოთოს სიძე პიღულა კაკაჩია სამამულოდ წოდებული ომიდან, ჭრილობის გამო დათხოვნილი და სამხედრო მდგომარეობის შესაბამისად სამეურნეო შრომაგაპიროვნებული, კოლმეურნეობის აგრონომი იყო (იგი წარმოშობით ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულიდან გახლდათ. მისი პაპისპაპანი ქიაჩის ეკლესიის (იმავე ოჩამჩირის რაიონი) წმინდა მთავარანგელოზის ხატის სული-ერი შვილები და მსახურები იყვნენ ჯერ ქიაჩში **(ქუა ჩე** ანუ თეთრი ქვა), შემდეგ სოფელ ობუჯში (წალენჯიხა), როცა ამ მადლმოსილი ხატის გახიზვნის გასწვრივ კაკაჩიების ერთი შტო აქ დამკვიდრდა.

შემთხვევითი არაა, რომ „ჰაკი აძბას“ ავტორის ფსევდონიმი ქიაჩელია.

კაკაჩიათა წინაპრებმა 1683 წელს მომხდურთა მიერ ქიაჩის დარბევის დროს დიდი გმირობა ჩაიდინეს და აქვე, ეკლესიაში დავანებული ქიაჩის წმინდა მთავარანგელოზთა ხატი - რომელიც ბიჭვინთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და ილორის წმინდა გიორგის მადლმოსილ ხატებთან ერთად აფხაზეთში უმთავრესი სულიერი სიწმინდე იყო, - გადაარჩინეს.

ქიაჩის ტრაგედიაზე ცნობებს გვაწვდის იერუსალიმის იმდროინდელი პატრიარქი დოსითეოსიც (სხვათაშორის, კაკაჩი ანუ მეგრული „კაკაჩანს“ კაშკაშის, ნათების მნიშვნელობით გადავიდა აფსუურ მეტყველებაში, მეტიც, მათ „დედაენას“ „აკაკაჩ“ ერქვა.

ეს ისე, კაკაჩიათა გვარის სქემატური განმარტებისთვის).

მივყვეთ დაწყებულ ამბავს: ვაჟიანობით გახარებულმა ხოთომ იმ დღესვე შეკაზმა ცხენი, ჩააბა თოკი წინა კვირას პირველ ხბომო-

გებულ ირემას, გამოისაგზლა საღომე ფქვილი, შებოლილი სულ-გუნი, შაშხი, ორნახადი არაყი, საღომე და სალობიე კარდილები, ლო-ბიო, ჯიმკაკილი (მას აჯიმკაკილს ანუ აჯიკას ეძახიან სააფხაზოში შემოხიზნული აფსუები და არამეგრული საკმაზი ჰგონიათ უვიც „მკვლევარებს“). ეს ყველაფერი კეხზე დაამაგრა, ზედ მეჯოგის ნაბა-დი მიაბარგა, ამის შემდეგ მხარზე გადაიკიდა თავისი განუყრელი სანადირო თოფი (გასაგებია, საჭირო ვაზნებსაც გამოიძღვანდა) და მშობლიური ნაფიჩხუდან (ჩხოროწყუ) სოხუმისკენ სვენებ-სვენებით გამოაბალახა შვილიშვილისთვის მისაჩუქრებული ძროხა და ხბო. გამოცდილი მეჯოგე ათიოდ დღეში მშვიდობიანად მიადგა გვარდას.

ირემამ თვრამეტი წელი - 1944 წლიდან 1962 წლამდე - დედობა გა-უწია ადრე დაქვრივებული ნორას 4 შვილს, ნაგრამით აავსო კაკა-ჩიების ეზო-კარმიდამო.

სწორედ იმ 1962 წელს მოუსწრო საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს სოფლის მოსახლეობას სკკპ ცკ-ის პირველი მდივნისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოვლად უგუნური, მა-გრამ ვირეშმაკი ნიკიტა ხრუშჩოვის მავნებლურმა დადგენილებამ, რომლის მიხედვით კოლმეურნეებს პირად მეურნეობაში ეზღუდე-ბოდათ შინაური ცხოველების (ძროხის, კამეჩის, ცხვრის, თხის, ღო-რისა და ა.შ) ყოლა (ერთ ან, ჰა და ჰა, ორ სულს უნდა დასჯერე-ბოდნენ).

აქედან გამომდინარე, კერძო მეურნეობისთვის გამოყოფილი სა-ბალახოები კოლმეურნეობების სათიბებს მიუერთეს, ხოლო პირადი სარგებლობისთვის ხრიოკი დაუტოვეს გლეხებს.

თავს ზემოთ ძალა არ იყო და ამით სასოწარკვეთამდე შეჭი-რვებული გლეხები იძულებული შეიქმნენ პირუტყვი სახელმწიფოს ხორცკომბინატებისათვის ჩალის ფასად ჩაებარებინათ. საქონლის ხოცვამ უმოწყალო და შემაძრწუნებელი ხასიათი მიიღო.

ირემა, რომელიც სხვებთან ერთად ამ გაუსაძლისობაში აღმოჩ-ნდა, ასაკს არ შეეპუა და იმ წელსაც დამაკდა.

ერთ დღეს ნიკიტა ხრუშჩოვის დადგენილება ირემამ სულ ფეხზე დაიკიდა, თოკი აიწყვიტა და კოლმეურნეობის სათიბად გამოცხა-დებულ რეზერვაციაში, სადაც წინა წლებში უდარდელად ბალა-ხობდა, საგანგებო აკრძალვის მიუხედავად, დღისით-მზისით, კვლავ მოსაძოვად გადავიდა. რა თქმა უნდა, მან არ იცოდა, რომ ეს იმჟამად დასჯადი ქმედება იყო.

საბედისწერო რისხვამაც არ დააყოვნა: მისთვის სათანამდებოდ გაპიროვნებულ ცხენზე აბოღმისქოთნებული კოლმეურნეობის მეველის - გალუსტ სგოციანის საავმოსურნეო მზერამ სავაგლახოდ დაინახა სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს კანონის საწინააღმდეგოდ თოკაწყვეტილი ძროხა, რომელიც სულ სახრის ცემითა და გინებით, გვარდის დამრეცზე სირბილით ამოაღმართების შემდეგ, მიადილაუთენია კოლმეურნეობის გამგეობაში.

ეზოს მესერზე დასასჯელად მიბმულ ირემას შუადღის პაპანაქება და მზის მცხუნვარება, უწყლოობა, უჩრდილობა, გალუსტის ნასახრალი და აღმართზე უმოწყალო ამორბენა, ასე სასტიკად რომ დაატეხეს თავს, მაკეობის მოშლად მიეერთბაშა. ყოვლად გაუმართლებელი ავმოსურნეობისაგან გაწამებულ პირუტყვს ადამიანთა გულქვაობა გაესასტიკა: იგი, მოკლედ მიბმული ღობეს, უპატრონოდ იცლებოდა სისხლისგან.

ამ დღეში მყოფი ვიღაც ხვთისნიერს უცვნია და ნორას აცნობა. სანამ ჭალებში ძროხის მაძებარ გაწამებულ ქალს ხმა მიაწვდინეს და ის კოლმეურნეობის გამგეობაში ამოსავათდა, სანამ ვეტექიმს დაუძახეს და ისიც რომელიღაც ტაბაკიდან გამოიხმეს, საქმე უიმედობისკენ გადაიხარა, - ირემა ფეხზე ვერ დგებოდა.

ვერც ვეტექიმმა თქვა რაიმე სანუგეშო, - დავკლათო...

ამაზე ნორა გადაირია, რას ქვია დავკლათო... თუ კვდება, თავისი სიკვდილით მოკვდეს, ამ ცოდვას ვერ დავიდებ, ჩემი ოთხი შვილის გამზრდელ ძროხას დანას ვერ გამოვუსვამო...

ამასობაში დაღამდა. ნორა გვერდით მიუჯდა ირემას, მისი თავი კალთაში ჩაიდო და მოეფერა, ძროხა მიენდო. მთელი ღამე ასე გაატარეს.

რამოდენიმე მეზობლის ქალი, რომელიც მასთან ერთად უტეხდა ღამეს ირემას, ცდილობდა სისხლგამშრალი ნორა იქვე მოსახლის სახლიდან გამოტანილ სავარძელზე გადაესვა, მაგრამ ამაოდ.

დილით საბჭოს თავმჯდომარემ - კოლია შონიამ გამოიარა. ეს მდგომარეობა რომ დაინახა, სვეგამწარებულ ქალს ურჩია, სულ რომ არ იზარალო, ხორცკომბინატში ჩავაბაროთ, სწორედ დღეს, ერთ საათში მიგვყავს ჩასაბარებელი პირუტყვიო.

თავდაპირველად თავმჯდომარის კეთილმოსურნეობას აღშფოთებით შეხვდა და არ დაეთანხმა ნორა, მოკვდეს და დავმარხავო, მაგრამ ქალების ჩიჩინმა, ნუ ხარ სულელი, შვილებს რატომ უკარგავ

ლუკმასო, ჯერ შეაყოვნა, მერე ჩააფიქრა, შემდეგ კი საადამიანო განსჯით ააწონ-დააწონია მდგომარეობა.

ამასობაში კიდევ ერთხელ მამაშვილურად მოადგა თავმჯდომარე, დაუყვავა, მოეფერა, გულში ჩაიკრა, შენი მესმისო, უთხრა, მაგრამ ზარალი ზარალია და შვილებს მთლად ნუ აზარალებ, ეს ორიოდე კაპიკი სასექტემბროდ წაადგებათო.

ასე და ამრიგად, ამ თავზარით გულამომჯდარ და ცრემლადქცეულ ნორას გაუიოლეს იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც კაცთა მოდგმაში ჭკვიანურ და თადარიგიან წინგახედვადაც კი ითვლება.

ნახევარ საათში სატვირთო მანქანა მოაყენეს. ხუთი ვაჟკაცი დასჭირდა ძროხის აყვანას, უფრო სწორად, დახუნკებული პირუტყვის ატანას მანქანის ძარაზე.

როდესაც ნორამ გამოსამშვიდობებლად შუბლზე საბოლოოდ გადაუსვა ხელი, მერე მიბრუნდა და უკანმიუხედავად გაეშურა გვარდისკენ, მხოლოდ მაშინ ირემამ, რომელსაც მძიმე ტკივილების გამო მანამდე ერთხელაც არ დაუხვნეშია, წელმოწყვეტის მიუხედავად, მაინც მოიკრიფა სასწაულებრივად მოძიებული ძალა და თავისით აიმართა ოთხსავე ფეხზე, მაგრამ თავი ვერ დაიმორჩილა და უკანა ფეხებზე ჩაიკეცა, მერე სატანჯველი ტკივილი კვლავ სძლია, წინათი შეიმაგრა თავი, განწირულად მიაბღავლა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ნორას და გაწბილებული თვალებიდან საცოდავად გადმოაკოკისპირულა ცრემლები.

იმ საღამოსვე კოლია შონიამ ბრიგადირის ხელით გაუგზავნა ირემას საფასური, რომელიც ხორცკომბინატში ხორცის წონის შესაბამისად გაუნაღდეს.

გავიდა დრო. იგი ნელ-ნელა ყველას მიავიწყდა. ის იყო მხოლოდ, მისი ნაშიერის ერთ-ერთ ხბოს დაარქვეს ირემა.

ამის შემდეგ ზუსტად 31 წელი გავიდა. ნორაც სხვებთან ერთად აღმოჩნდა დევნილობაში. უფროს შვილთან და შვილიშვილებთან წყნეთში დამკვიდრდა.

წლებმა თავისი ქნეს, ნატანჯს, ნაჯაფსა და დაბერებულს სკლეროზი დაემატა. იმ ზომამდე დაკარგა მეხსიერება, რომ არა თუ თავისი ახლობლების, საკუთარი ვინაობაც არ ახსოვდა.

ერთი უცნაურობაც დასჩემდა: ხელზე შემოჩვეულ კნუტს აიყვანდა საღამოობით და ხმამაღლა იტყოდა, წავედიო ახლა მე ირემას საძებნელად. როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო,

გამოვიდოდა ეზოში და გულის გამყინავი შემაძრწუნებლობით გასძახებდა მისი საწუხარისათვის ყურდახშობილ მიდამოს: **ფში, ირემა, მორთი აშო, სორექ, ჩქიმ ძღაბი?!.***

2017 წ. 1 ივლისი

დაიბეჭდა გაზეთში „ილორი“ (2017 წ. 1 აგვისტო)

* ფში, ირემა, მოდი აქ, სად ხარ, ჩემო გოგო?!.

„ჰაიკანუშა კოშკა“

„აქუს მათ საშჯელი,
რამეთუ პირველი იგი
სარწმუნოებაი შეურაცხყვეს“
ტიმოთეს მიმართ - 5, 12
„სცდების და სცდების, სიკვდილსა
ვინ არ მოელის წამისად!..“
შოთა რუსთაველი
„... პირშავობა შენი ვიცი,
გამიგია, შემიტყვია
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია!..“
აკაკი წერეთელი

მოგეხსენებათ, საკარმიდამოში ძაღლი და კატა ლასკარის წევრად დგინდება. ასეთია ბინადარი ცხოვრების წესი და მას ყოფით სიცხადეში შინერს-ვაშინერსის ცნობიერება აყოველდღიურებს.

ქართული ნაგაზის ლეკვი მესტიიდან ჩამომიყვანა ჩემმა ძმაკაცმა თამაზ შამფრიანმა. აი, თურქთა თარეშის ხანებში ტრაპზონიდან გამოძევებისას პაპაჩემს თანჩამოყოლილი კნუტის ნაშიერი კატა გადამიშენდა.

აქვე, მეზობლად ცხოვრობდა ოცდაათიოდე წლის ბერძენი იანაგო, რომელსაც ბავშვობაში გადატანილმა მენინგიტმა საგრძნობი კვალი დაატყო გონებაზე, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, სამეზობლოში ეშინაურკაცა.

იანაგომ, რომელმაც გასაოცარი ზედმიწევნობით იცოდა უბანში ნებისმიერის სვლაგეზი, ავანჩავანი თუ გეგმა, ერთ დღეს თეთრი, ქათქათა კნუტი მომიყვანა, რომელსაც ცხვირის გარშემო, თითქოს საგანგებოდ მიაღობესო, თხუთმეტკაპიკიანის ხელა რკალში შავი, კატური „პირისბანისაგან“ მბზინავი ბეწვი „ადიდგვაროვნებდა“ და ერთ ჩვეულებრივ, ათასისმსგავს ჩხავანას, კერძო, - თავისთავად შინაარსად ხდიდა, რაც „პირადობის მოწმობად“ უნიშანსვეტდებოდა.

თავის მხრივ იანაგომ მიპიროვნებულ მშობლიურ ენაზე, ანუ ბერძნულ, რუსულ, ქართულ (მეგრულ) სიტყვათა კრებსითი გაწინადადებებით ყოველი შემთხვევისთვის განმიმარტა, რომ ეს

კნუტი ჰაიკანუშ სგოციანის კატისა იყო: „ჰაიკანუშა კოშკა“, „ჰაიკანუშოვნა“... ჩაიღიმილა ყოველგვარი ვირეშმაკობის გარეშე.

ასე და ამრიგად, იანაგოს გემოვნებით, ძალისხმევითა და საინფორმაციო უზრუნველყოფით თიკუნი „ჰაიკანუშოვნა“ კნუტს „საანკეტო ვინაობად“ დაუდგინდა.

ბარემ აქვე საქმეს წინ წავიგდებ და ჩემის მხრივ იმას გაგისაჯარისებთ, რომ ჰაიკანუშ ლევონოვნა, რომელიც ჩემგან ავტობუსის ორი გაჩერების იქეთ ცხოვრობდა, არმენულ სკოლაში რუსულ ენას ასწავლიდა. ქმარი - სურენი, მშობლიურ კოლმეურნეობაში მეთამბაქოედ იღწვოდა, ხოლო ერთადერთი ვაჟი ხაჩიკი იმხანად რუსული სკოლის მეათე კლასს ამთავრებდა.

ვატყობ, საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ 1983 წლის მარტში ჩვენ, მართალია, სხვადასხვა ჯგუფებში, მაგრამ ერთდროულად გავიარეთ ქ. თბილისში მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსები, რომლის დროსაც რამდენიმეჯერ ერთად დავესწარით სპექტაკლებს, მოვინახულეთ მცხეთა, ვიყავით ოვანეს თუმანიანის სახლში. ბუნებრივია, იგი ქალი გახლდათ და კომპლიმენტიც ვუთხარი, დავარწმუნე, რომ დიდი ოვანესის ანუში, ამავე სახელწოდების პოემიდან, სწორედ მას ემგვანებოდა (სხვათაშორის, წაკითხული არ ჰქონდა, თბილისში წავაკითხე).

მოხდა ისე, რომ ქალბატონ ჰაიკანუშის თხოვნით ხაჩიკს სსრკ ისტორიაში მეცადინეობისას შიგა და შიგ ხელს ვაშველებდი და ზოგჯერ ვესაუბრებოდი არმენ მწერლებზე, კინოსა თუ თეატრის მსა-ხიობებზე, წავაქეზე, რათა ესწავლა მშობლიური წერა-კითხვა და ა. შ. ასევე ვცდილობდი, მისთვის გამეთვალსაჩინოებინა ქართული სულიერების კიდეგანები.

გამოგიტყდებით, ეს საუბრები მაინცდამაინც ვერ უშალაშინებდა ვინაობას, რადგან ვატყობდი, მასში უფრო ბაცაცური ბუნება სარეველიანობდა, მაგრამ სამეზობლოში არის ხოლმე რაღაც - რაღაცეები, რასაც, მრავალი მიზეზის გამო, ყოველთვის ხიშტით ვერ დაუპირისპირდები, ამიტომ არ დამიმადლებია მისთვის ეს საუბრები, გნებავთ მეცადინეობები. მეტიც, ჰაიკანუშის ვაჟი 1988 წელს მისაღებ გამოცდაზე ჩემთან ნამეცადინევი ისტორიის ჩაბარების წყალობითაც ჩაირიცხა სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

ხო, პირველ კურსზევე შერთეს ცოლი, რომელიც რსფსრ შს არმავირის საქალაქო განყოფილების ე. წ. ობეხეესის უფროსის პეტროს არტურის ძე ისკანდერიანის დედისერთა ქალიშვილი იყო - ლიუდმილა. არ ვიცი რატომ, მაგრამ დედამისი „ქართულ“ გვარს -„Назадзе“-ს ატარებდა.

ამის გამო ქალბატონმა ჰაიკანუშმა საჭიროდ მიიჩნია, ქორწილი ქართული წესით წარემართა, მოიწვია ქართველი მზარეულები (მესაცივეები, მეხაჭაპურეები და ა. შ.), ხოლო ნადიმის გაძღოლა, ანუ თამადობა, ერთი კვირით ადრე, მე მთხოვეს.

შემდეგ, ცნობილი მოვლენების გამო, ხაჩიკის ასავალ-დასავალზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეები შემომეფეთა. ეს კი იყო, რომ 1993 წლის ზამთარში ხმა მომწვდა, იგი ბაგრამიანის სახელობის ბატალიონში აგრესორ-სეპარატისტების მხარდასაჭერად იბრძვისო.

სიტყვა გამიგრძელდა, ხაჩიკს - საქართველოს ორგულსა და მოღალატეს, გზა ჯანდაბამდე ჰქონია, ჩვენ კი კვლავ მივუბრუნდეთ იმ ამბავს, რითაც თხრობა დავიწყეთ.

მალე ზემოთხსენებული „ჰაიკანუშოვნა“ გაიზარდა, კნუტებიც დაყარა, მაგრამ არ ვიცი, რა ჭირი შეეყარათ, უდღეურები აღმოჩნდნენ და დაიხოცნენ, რაც გაჭირისუფლებულმა დედა კატამ სასოწარკვეთამდე განიცადა, - ის დღეები გულისშემძვრელად კნაოდა.

... სწორედ იმ ხანად, ანუ 1987 წლის სექტემბრის ერთ სადაგ დღეს, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საბჭოს რაიაღმასკომის განათლების განყოფილების ინსპექტორი ჭიჭიკო ზუხბაია და რაიონის ინკუბატორის დირექტორი შოთა სიგუა სკოლაში მომადგნენ და გადმომცეს ხელმძღვანელობის დადგენილება იმაზე, რომ ჩემდამი დაქვემდებარებული სკოლის იმ მუშაკებს, რომელთაც საკარმიდამო გააჩნდათ (ისევე, როგორც რაიონის სხვა დაწესებულებათა თანამშრომლებს), უნდა შეესყიდათ ინკუბატორში ნაგვიანევად გამოჩეკილი წიწილები, რომლებიც ვერ გაიყიდა.

ცხადია, სექტემბრის თვეში, თანაც სოხუმში, არათუ ინკუბატორის, კრუხის გამოჩეკილ წიწილებსაც ძნელად თუ გაზრდიდა კაცი, რადგან ხშირია წვიმები. ასეთ ამინდებში კი ადვილად ავადდებიან ისინი.

რას ვიზამდით, ჩვენს სკოლაზე მოსაღებული ხუთასი წიწილა გადავინაწილეთ, საიდანაც მე თხუთმეტი მერგო.

კი, ბატონო, წავიყვანეთ, თუმცა ყველამ ვიცოდით, რომ ტყუილად მიგვყავდა. მართლაც, ამ ხუთასი წიწილიდან უმნიშვნელო რაოდენობა გადრჩა.

დიახ, მეც ჩემი წილი სამი დღის თხუთმეტი ფრთა, თანამშრომლების მიერ საიდანღაც ნაშოვნი ფანერის სუფთა ყუთში საგანგებოდ ჩაბუდრებული, სახლში მოვიყვანე. ისინი სამზადის ერთ კუთხეში, ბუხრის გასწვრივ, ყუთიანად მოვათავსე, ღერღილიც დავუყარე და წყალიც მივეცი, მაგრამ მათი მოგანგაშე წივწივი მაინც ისმოდა. გარეთ კიდევ „ჰაიკანუშოვნა“ გულამოსკვნილი კნაოდა და, როგორც იტყვიან, „კედელზე თავისრტყმით“ ეძებდა თავის კნუტებს.

რამდენიმე ხანში შევამჩნიე, მაგრამ ყურადღება არ გამიმახვილებია, წივწივიცა და კნავილიც მიწყდა. დაღლილს ჩამეძინა.

დილაუთენია ჩავხედე წიწილებს. „ჰაიკანუშოვნა“ ყუთში სიგრძეზე ჩაწოლილიყო და წიწილები ნებიერად დაბუდრებულიყვნენ მისი მუცლის გარშემო.

ასე დაიწყო ეს დაუჯერებელი ამბავი: ამ დღიდან სასოწარკვეთილი კატა დამშვიდდა, წიწილებს კრუტუნით ემშობლიურებოდა, მზრუნველად დაჰყვებოდა, ათბობდა, მოკლედ - უვლიდა.

წიწილები კატასთან ერთად ჯერ იმ ყუთში, შემდეგ მათთვის ცეცხლის შორიახლოს მოწყობილ სათავსში დამკვიდრდნენ. საქათმეში დანარჩენ ქათმებთან იმ ზამთარს არ შემიყვანია. თხუთმეტივე წიწილა ნელ-ნელა დაიზარდა, დაქათმდა. თანდათანობით ბოსტანშიც გავიდნენ, „ჰაიკანუშოვნა“ მწყემსივით დაჰყვებოდა, უზუსტებდა ნებადართულობებს, სათავიანთო საზღვრებს...

ამასობაში გაზაფხულიც მოვიდა, შემდეგ ზაფხული... კატა ახლა მის დაზრდილებს სულ კუდში არ დაჰყვებოდა, მაგრამ თვალყურს ადევნებდა, მის მიერ დაზუსტებულ ნებადართულობათა დამრღვევებს „კიცხავდა“.

გავიდა დრო. არ ვიცი, როგორ მოხდა, ამათგან ერთი მამლაყინწა მეუღლეს დაეკლა სტუმრად მოსული დისა და მისი შვილიშვილისათვის. სახლში რომ მოვედი, ჭიშკრის გაღებისთანავე გავიგონე, რომ „ჰაიკანუშოვნა“ შემზრავად კნაოდა. წავედი სამზადისკენ. უკან, სისხლიან კუნძთან მიწას ფხაჭნიდა გაგიჟებული კატა და საფარსაგოდ მოთქვამდა.

ხელში ავიყვანე, მოვეფერე, მაგრამ ვერ დავაწყნარე. სამზადში შევიყვანე და კერიასთან დავსვი. იგი ცახცახებდა, პირიდან დუჟმა გადმოუჟონა, თვალის გუგებზე ლიბრი გადაეფარა.

შემწვარი მამლის რაღაც ნაწილი სტუმარ ბავშვს მიეკბიჩ-მიელოღნა და იქვე, მაგიდის ერთ კუთხეში, ხელსახოცზე დაეგდო. ხორცის ეს ნაჭერი ავიღე და დავუდევი წინ. პირი არ დააკარა, თავგამეტებით აიძაგრა, ომის მდგომარეობის სამუქარო აბგერე-ბები საზარლად გაღებული ხახიდან მომაკაპასა და გამეხებული გა-იქცა გარეთ.

ის ღამე არც „ჰაიკანუშოვნას“ და არც მის ქათმებს თავიანთ ბო-ლო ჭერქვეშეთში, რომელიც გაზაფხულზე გავუწყვე (სამზადის გვერდით), არ გაუთევიათ, - საძროხეში მიიპიროვნეს სათავიანთო კუთხე.

ისე, ეს ამბავი მისამოწაფებლად, ვფიქრობ, რომ ღირს: კატამ, მტაცებელმა არსებამ, არ ჭამა მის მიერ შემომშობლიურებული, უფ-რო სწორად, მისი გაზრდილი წიწილების ხორცი. მეტიც, საკუთარი კნუტებივით იგლოვა მათგან გამოკლებული..

სამწუხაროდ, ასეთი შეგნება არც ჰაიკანუშ ლევონოვნა სგოციანს - აფხაზეთის ასსრ დამსახურებულ მასწავლებელს, არც მოწინავე მეთამბაქოედ ცნობილ, საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის წევ-რობის კანდიდატს, - სურენ მუკუჩის ძე ჯიდარიანსა და არც მის შვილს - სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ ხაჩიკ სურენის ძეს არ გამოუვლენიათ: როგორც 1999 წელს მოსკოვში შემთხვევით შეხვედრილმა საერთო მეზობელმა - არამ გალუსტის ძე პოღოსიან-მა, კაცობისკენ შედარებით მიდრეკილმა ადამიანმა მაუწყა (სხვა გზა, უბრალოდ, არ დავუტოვე), ჰაიკანუშ ლევონოვნას, როდესაც იგი ყოფილი ქართველი მეზობლების უბედურების შედეგად მით-ვისებულ ძროხებს მოერეკებოდა, სოფლის სასაფლაოზე დაუნახავს მასთან ბავშვობიდან თანშეზრდილი მეზობელი ქალბატონის ცხე-დარი, რომელსაც 1993 წლის სექტემბრის ბოლოს ქმრისა და ამ ომში უდროოდ დაღუპული შვილიშვილის საფლავებზე საკურთხი გაუწყვია, სანთელი აუნთია, ღამე გაუტეხია (აფხაზეთში ამბობენ - „სერ გუტახ“), ბოლოს მომხდარი თავზარისაგან მწუხარეს და ჭკუა-შერყეულს, თავი მოუწამლავს, დიახ, ჰაიკანუშ ლევონოვნას უნახავს ცხედარი, მისულა მასთან, პირაღმა გადაუბრუნებია და... თითიდან

საქორწინო ბეჭედი წაუძვრია. ამის შემდეგ ამაზე ნაძირლური რა გითხრათ, როგორ გავათანამიმდევრო აქ ის თუ რანაირად დადიოდა ეს ქალი ქართველების სახლებში, საიდანაც ისინი ცეცხლითა და მახვილით გამოაძევეს, როგორ ეზიდებოდა მათ ნაამაგარს...

ქართველების ქონების დაუფლებაში არც მის ქმარს, ცნობილ მეთამბაქოეს დაუკლია ხელი, მაგრამ, როდესაც მორიგი მოროდიორობისას მისი კარის მეზობლის - შოთა პირტახიას ჭერქვეშ კარადებში ძვირფასეულობას ეძებდა, საფათერაკოდ უპოვნია ყუმბარა, ეშმაკს საჩხირკედელაოდ განუწყვია, შემდეგ ხელში აფეთქებია იგი და ასე საძრახობაში დაუსრულებია თავისი წილი ცხოვრება.

რაც შეეხება ხაჩიკს, იგი 1993 წელის 20 სექტემბერს, როცა მტერმა სოფელი იაშთხვა აიღო, ის წინ მიუძღოდა, თურმე, ბაგრამიანის ბატალიონის ერთ ჯგუფს და ქართველების სახლებს გაძარცვის შემდეგ, ცეცხლს უკიდებდა.

ჩემს ეზოში შემოსული უცვნია ძაღლს და კეთილმეზობლურად მიგებებია, რასაც ხაჩიკისაგან მოჰყოლია ვერაგული გასროლა. შემდეგ ცეცხლი წაუკიდიათ სახლისთვის. როდესაც ხანძარმა იმძლავრა, სახურავზე ამძვრალ „ჰაიკანუშოვნას“ უმამაცნია და გადამხტარა იქვე მდგარი ბჟოლის ხისკენ, მაგრამ ახარხარებულ ხაჩიკს თავისი ჩუბინობა გამოუცდია, - ხანძრისგან სასწაულებრივად თავდაღწეული კატისთვის ავტომატი უსვრია. მერე საძროხიდან ძროხა გამოუყვანია, მოუკლავს და ღრეობა გაუმართავს ბაგრამიანის სადიდებლად.

ასეთი გახლავთ სიცხადე და აქედან გამომდინარე მოცემულობაც ამის მიხედვითაა...

ჩემი სახლ-კარის გადაწვა მიპატიებია... არაფერს ვეუბნები, ღმერთმა მოჰკითხოს, მაგრამ არის ერთი ვაშინერს, რომლის გაქელვა არ იპატიება, ესაა ჭიშკართან ძაღლის მოკვლა, რაც სისხლის აღების აუცილებლობას ქმნის, ანუ მომხვდური, რომელიც იარაღს აღმართავს, - სახეზოგადი გველეშაპის პირველწყაროა, რომელსაც წმინდა გიორგის ბორზალი უნდა ჩასცე.

ვერ ვაპატიებ!..

მეორეც, ადამიანის დაცემა და ეშმაკის მიმოწაფება უმწეოს გადაქელვით იწყება. კატა, რომელმაც თავი დააღწია ხანძარს, იმსახურებდა ცოცხლად დარჩენას და როდესაც მას, გასაცდელში მყოფს, მუხანათურად ესვრი, ეს ღვთის წესრიგთან მიმდგომლობაა!

ვერ ვაპატიებ!..

მესამეც, ძროხა ასე წამებით მოკლული (და არა დაკლული), ჩემი შვილების გამზრდელი... ძუძუწმინდა და დედისმაგიერი (და არა დედინაცვალი) გახლდათ...

ვერ ვაპატიებ!..

მეოთხე, მე ხაჩიკს მივუტევე პირადი ქონების განადგურება, მაგრამ სახლ-კარი, გარდა ქონებისა, პირველ რიგში, შეუგინებ-ლობაა, სამშობლოს ათვლაა, ვინაობაა, მისამართია!..

გიორგიანელობა და ქრისტესმხედრობა მის ხელუყოფლობას მავალებს.

ვერ ვაპატიებ!..

და ბოლოს, - მეხუთეც: სამშობლო!.. ეს უფლისწვდომილება, ანუ ღვთისმშობლისწილხვედრილობაა, ***„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს, არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც (ოთარ ჭილაძე).***

ვერ ვაპატიებ!..

ასეთი გახლავთ (ყოველ შემთვევაში უნდა იყოს) ერის სახალხო განაწესი!

... და თუ მოხდა ისე, რომ ვერ ამოვაწვდინე ცხრა სკნელს ქვემო-დან ხმალი, მაშინ ჩემს მოდგმას, სახელად უტა, თარაში და უჯუში რომ დავანათლე, იმათ სვლაგეზად ვადგენ ამას!..

2018 წ. 15-16 მარტი,
გუმისთაზე ქართველთა გმირობის 25 წლისთავი, რომელიც
საქართველოს ე. წ. პრეზიდენტს არც გახსენებია

დაიბეჭდა გაზეთში „ლიტერატურულ საქართველო“ (2018 წ. 20 აპრილი)

*

რედაქტორისაგან

სერგი საჯაიამ შემოქმედებითი საქმიანობა ლექსებით დაიწყო. კარგად მახსოვს მისი პირველი მყარი ნაბიჯები. ადრიდანვე ვიცნობდი მას, როგორც განათლების დარგის წარმატებულ მოღვაწეს, ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩართულ პიროვნებას და, ბოლოს, აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის დროს, სამართლიანობსათვის იარაღასხმულ მებრძოლს. ჩვენს ურთიერთობაში ხანგრძლივი მდუმარების შემდგომ (რასაც ობიექტური მიზეზები ჰქონდა) ჩემთვის მოულოდნელი და ერთგვარი აღმოჩენაც იყო, რომ ის ჩამოყალიბებულა, როგორც ნიჭიერი პუბლიცისტი, მწერალი, მრავალი წიგნის ავტორი, რამდენიმე პრემიის ლაურეატი და... ისეთივე ხმალშემართული - ოღონდ უკვე სხვა სფეროში (სახელმწიფოებრივი გარჯა; შეუპოვრობა ისტორიული ჭეშმარიტების დასადგენად; უშეღავათობა უკეთურობის მიმართ და ა. შ.). წავიკითხე მისი პოლიტიკურ თემაზე დაწერილი წიგნები, მათში უსამართლობას შეჭიდებული მარტოკაცი დავინახე და თან ამ შრომების შექმნაში დახარჯული დრო, ძალა, მოწადინება, შემართება დამენანა. ჯობდა ეს ყოველივე რაიმე მხატვრულ ტილოს მოხმარებოდა (რისი უნარიც ავტორს უეჭველად შესწევს), რადგან წიგნთა პერსონაჟები (თუ პერსონები) თავს დღესაც არხეინად გრძნობენ, თავისუფლად აგრძელებენ ჩვეულ საქმეს, თითქოს არც არაფერი შეხებიათ, მათი წარმომჩენი კი დარჩა კანონიერების აღსრულების მომლოდინე. თუმცა, აქვე დავძენ, ჭეშმარიტებას ერთი უტყუარი ჩვევა აქვს: ათასი ჭირ-ვარამის გამოვლის, გვემისა და თუნდაც ჩაქოლვის მცდელობის მიუხედავად, სადმე თავს მაინც წამოყოფს და ავისმქნელებს წინ გადაუხტება. ასე რომ, სათქმელმა მაინც მიაღწია მიზანს.

წინამდებარე პატარა წიგნში (მწერალი მას მოხდენილად „წიგნუკას“ უწოდებს) წარმოდგენილი ნოველები შინაარსით და ჟანრობრივადაც ახლებურია - ეს არის ნოველისა და ნარკვევის, მხატვრული ნააზრევისა და სინამდვილის ნაზავი. ოთხ ნაწარმოებს ერთი სატკივარი და სევდა-ნაღველი აერთიანებს, გამოწვეული მშობლიური გარემოს დაკარგვით, ახლობლის (ადამიანის თუ ცხოველის) დაღუპვით. მათში ერთი სიუჟეტური ხაზიც კი შეინიშნება: პირველ ნოველაში („მურგვა“) ძაღლის მკვლელი არ ჩანს, ის ბოლო ნოველაში („ჰაიკანუშა კოშკა“) გამოჩნდება (გამოდის, მურგვას მკვლელი ხაჩიკი („ჰაიკანუშ კოშკადან“) ყოფილა! შეიძლებოდა ამის აღნიშვნა, კვანძის ერთგვარი გახსნა იქნებოდა. იქნებ, ამის გარკვევას მკითხველს ანდობს? ესეც შეიძლება). ვფიქრობ, ეს შემთხვევითი არ არის, მე ის თავისებურ მხატვრულ ხერხად მივიჩნიე... მურგვას სიკვდილით მთხრობელს (ანუ მთავარ გმირს) ცხოვრების შინაარსი შეერყა: **„ის გახდა ჩემი ტკივილების თანაზიარი, ჩემი ობლობისა და მარტოკაცობის მეიავნანე,**

ფიქრების ამძრავი ღვედი, სიკეთისკენ წამქეზებელი“, ის „მომემშობლიურა, თითქოსდა გამისისხლნათესავდა, შემომისიხლი-სკაცდა...“ აი, ასეთი სულიერი მეგობარი ვერაგულად მოუკლეს. მთხრობელი მტერს სახლ-კარის გადაწვას პატიობს, მაგრამ არის ისეთი რამ, რაც **„არ იპატიება. ესაა ჭიშკართან ძაღლის მოკვლა“**... ეს უფლის მიერ დადგენილი წესიდან განდგომას, ადამიანის დაცემასა და განადგურებას ნიშნავს.

სულისშემძვრელი და სევდისმომგვრელია „ღაზო“. დაკბენილმა ღაზომ უკანასკნელად აწოვა ძუძუ თავის ნაშიერთ და სულიც დალია... **„ვიბღავლე, მაგრამ ვაღიარებ, ეს არ გახლდათ მარტო ღაზოს შეცხადება - დავტიროდი ჩემს მარტოკაცობას, ოდაბადის გასხვისებას, ძვირფას საფლავებს..., ჩემი ერის მილევადობას“**. ჭირს, აუღელვებლად წაიკითხო ეს სტრიქონები.

სერგი საჯაიამ გამოამჟღავნა მწერლისთვის შესაშური თვისება: მან გამოიმუშავა საკუთარი სტილი, ავტორის გამოცნობა ადვილია სახელისა და გვარის მიუწერლადაც კი. მწერალი სიტყვათშემოქმედების იშვიათი ნიჭით გამოირჩევა. ეს ეხება არსებით სახელსაც და მისგან ნაწარმოებ ზმნასაც. ამათგან ზოგი შეიძლება, ნაკლებად ზუსტი და მორგებული იყოს, მაგრამ არა უშავს: გუთანს ერთგულად ჩაჭიდებულ გამოცდილ მხვნელს კვალი განზე თუ გაექცა, მას მალევე თავად მოუვლის... თუკი ათი ახალი სიტყვიდან ერთი მაინც შემორჩა ქართულ ლიტერატურას, ეს გამარჯვება იქნება.

ესეც უნდა ვთქვა: სერგი საჯაიას თამამად (თანაც - ზომიერად)

შემოაქვს ქართულში მეგრული სიტყვები, რაც ჩემი აზრით, ხელს უწყობს ქართული სალიტერატურულო ენის განვითარებას და გამდიდრებას.

წიგნში შესული ნოველები ადრე დაიბეჭდა პერიოდულ პრესაში. ასე ერთად შეკრული კი პირველად გამოდის. და, იმედია, მკითხველი გულთბილად მიიღებს.

მურმან ხურცილავა,
მწერალი, გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი

„სისხლად ამონახველი მწუხრისბჭობა ახალნათოვზე“

სერგი საჯაია სიტყვით მხატვრობის იმ ოსტატთაგანია, რომელთაც ძალუძთ, მკითხველი სულის სიმების ერთი შერხევით გამოაფხიზლონ. ამას დარწმუნებით ვამბობ, რადგან საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი ბატონი სერგის ნაწერების ზემოქმედება. ისიც ვიცი, რომ ყველა, ვინც მისი ნოველების ამ პატარა, მაგრამ უდავოდ მრავლის დამტეველ წიგნუკას წაიკითხავს, მყისვე დამეთანხმება და თანაც, კმაყოფილი, ოდნავ სევდანარევი ღიმილით.

„ახალნათოვზე სისხლიანი ამონახველით მივიკვლევ გზას, იქნებ ვინმემ - თემშარას აცდენილი თაობიდან, ეროვნული საფიხვნოსკენ მიაგნოს სვლაგეზს“, - წერს თავად ბატონი სერგი ნოველების კრებულის წინასიტყვაობაში. უფრო უკეთ რომ ვთქვათ - ხატავს, რადგანაც კაცი, რომელიც ამ სტრიქონებს წაიკითხავს, გონებაში უთუოდ მრავალს რასმე წარმოიდგენს. მე, მაგალითად, ვაჟასეული, **ლაშარის გორზე აღმავალი ლუხუმი** წარმომიდგა თვალწინ და მომინდა, თან გავყოლოდი მას.

„სისხლად ამონახველი მწუხრისბჭობა ახალნათოვზე“ სულ ამგვარ - სიტყვით დახატულ - ნოველებს შეიცავს, თანაც აფხაზეთს და მის ძირეულ მკვიდრ ქართველობას ეძღვნება. მიძღვნა მიძღვნად და, უნდა ვთქვა, რომ აფხაზეთზე ბევრი წიგნი დაწერილა, ბევრი იწერება და ბევრიც დაიწერება, ღვთის წყალობით: მამებმა იბრძოლეს და ზედაც შეელეწნენ მტერს ჩვენი იმედით. ჩვენც ვიბრძვით და დღეს თუ მომხდურს შეველეწებით, სულ ერთია - გამარჯვებას ხვალ მაინც ჩვენი შვილები იზეიმებენ. ჰოდა, სანამ ვიბრძვით - იქამდე ვცოცხლობთ და ვქმნით.

რაკი ასეა, ბარემ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ სანამ ვცოცხლობთ, ვიბრძვით და ვქმნით, მუდამ ცოცხალია ის აფხაზეთი, რომელიც დედა-საქართველოს წიაღში 1993 წლის 27 სექტემბრამდე მუხლმაგრობდა, დღეს კი ვაჟასეულ იმ არწივს ჰგავს, ყვავ-ყორნები რომ დასევიან. მოგონებებსა და სიზმრებში ცოცხლობს იგი ზუსტად ისეთი, როგორიც ოდითგან იყო და იქნება, როდესაც დავუბრუნდებით. დაბრუნებით კი აუცილებლად დავუბრუნდებით, რადგანაც აფხაზეთი ერთიანი საქართველოს **შურობუმუ**, ანუ ის მიწა გახლავთ, რომელსაც ქართველთა სული ებმის მოგონებების ფესვებით.

სერგი საჯაიას ნოველები: „მურგვა“, „ღაზო“, „ქენჯნის თვითგვემაში გამოგლოვილი“ და „ჰაიკანუშა კოშკა“ სწორედ ის ფესვებია, ქართველობას რომ შურობუმუსთან აერთებს. მათ რომ წაიკითხავთ, არამარტო დაინახავთ, არამედ იგრძნობთ კიდევაც იმ აფხაზეთს, ენგურს გაღმა კანტი-კუნტად შერჩენილ აფსარებს რომ სანატრელად გახდომიათ დღეს. კაცმა რომ თქვას, აფხაზეთი სწორედ მათ დაკარგეს და არა ჩვენ: თვალს მოხუჭავს თუ არა, აფხაზეთის მკვიდრი ქართველი წამსვე შურობუმუში ინაცვლებს, აფსარმა კი რაღა ქნას?!.. ცხადში არყით გალეშილი რუსი სალდათების ხმამა-

ღალი გინება არ ასვენებს და ძილში - თვისტომებისგან ნაწამები ქართველის ზმანება.

ასეა: აფხაზეთიდან მტრისგან ოტებულ ქართველობას იმ კუთხის სული იმიტომ გამოჰყვა, რომ მათ **ქართველურ შურობუმუსთან** კავშირი არ გაეწყვიტათ: **„ყოველთვის არ არის სულ ერთი, ამ მიწაზე თუ რომელ კუთხეში გექნება საფლავი!“** - ამგვარად ასრულებს ბატონი სერგი ნოველა „მურგვას“ და მეც, აწ უკვე მთლად საზღვარგარეთ მოქცეული ერთ-ერთი უძველესი ქართული კუთხის მკვიდრთა საგულისხმო ჩვეულება მახსენდება: მიცვალებულს, ვისაც მემკვიდრე შორს ჰყავს, საკუთარ ეზოში კრძალავენ, რათა ქართული მიწა გადამთიელის ხელში არ ჩავარდეს, შორს წასული ქართველისთვის კი სამუდამოდ **შურობუმუდ** დარჩეს. ჰოდა, **სანამ შურობუმუ ანუ „სულის საბამი“ იარსებებს, ის ქართველი, სადაც გინდა იყოს, მუდამჟამს ქართველად დარჩება**.

ეს ყველაფერი სერგი საჯაიას ნოველათა არსია და, უშუალოდ ენას რაც შეეხება: მე ტყუილად არ მითქვამს, სიტყვით მხატვრობის ოსტატთაგანია-მეთქი. საერთოდაც მიმაჩნია, რომ მხატვრული ნაწარმოები მკითხველს გონებაში წარმოდგენილ კადრებად უნდა ჩარჩეს და ეს, ცხადია, ენის გარეშე ვერ მოხერხდება. სერგი საჯაიას ნაწარმოებთა ენა მრავლის დამტევი და მოქნილია: „...მაგრამ რაღაც ადამიანად ყოფნის ხაწას მართმევდნენ თითქოს“ - აქ სიტყვა **ხაწა** ფრაზის გასაღებია. ის მეგრულად „მაწვნის დედას“ ნიშნავს, თუმცაღა სამწიგნობრო ენაში გადმოტანით, ბატონი სერგი მას უფრო ამაღლებულ მნიშვნელობას ანიჭებს: **ადამიანად ყოფნის ხაწა** ხომ ისაა, რისთვისაც ზოგადად კაცი მოდის ამქვეყნად. სულ ერთი, პაწაწინა სიტყვაა, მაგრამ მრავლის დამტევი. თანაც, სამწიგნობრო ენაში გადმოტანით მთელი ქართველობისთვის ნაცნობი ხდება.

მეორე მხრივ, იმგვარი ზმნური ფორმებიც, როგორებიცაა, მაგალითად: „მომესხეულა“, „ჩაიკრიალოსნა“, ანდა კიდევ - მოქნილი ფრაზეოლოგიზმები: „სიცოცხლე ხანძრად მინთია გულში“, „ოდაბადის ქუდზე-კაცობასთან ზურგით არ მდგარი“ და მისთანანი სიტყვას სულ სხვა, მხატვრულ სიმაღ-ლეს აძლევს და გარდა იმისა, რომ უფრო გამოკვეთს სემანტიკას, სულისმიერ ცხადგრძნობათა გამომსახველადაც გვევლინება. სერგი საჯაიას ნოველებში კი უპირველესი სწორედ ეს გახლავთ. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ მას წერის საკუთარი სტილი აქვს და მას ბუნებრივად ირგებს გულისნადების გადმოსაცემად.

აი, ამგვარად შეიძლება დახასიათდეს ბატონი სერგი საჯაიას მწერლობა და სახელდობრ, ის წიგნუკა, რომელიც მან მკითხველს ამჯერად წარუდგინა.

მიხეილ ლაბაძე,
ფილოლოგიის დოქტორი

სარჩევი

მ უ რ გ ვ ა	3
ღ ა ზ ო	8
ქენჯნის თვითგვემაში გამოგლოვილი	16
„ჰაიკანუშა კოშკა“	21
რედაქტორისაგან	28
რეცენზია	30

მკითხველისადმი

მე ყველანაირ ხალხმრავლობაში მუდამ მარტოსული და მოუწყობელი ვიყავი, ამიტომ ჩემი თვალსაწიერის გუმბათქვეშ არ მიკვირს, თუ რად იხლართებიან ასე უნუგეშოდ ფიქრები ან რატომ მეგრიგალება ელდა უმწეობად: ვხედავ, თაობას მოთხოვნილებად არ ექცა შინაგანი სამართლიანობა სამშობლოსადმი.

მას ავიწყდება, რომ ცხოვრება არაა ჩაკრიალოსნებული დღეების ჯამი. ის თაობათა ერთმანეთში გაუბერწებელი თანმიმდევრობითა და უწყვეტი ჯერმონაცვლეობით გასხეულებაა.

ასევე ვერ ხვდებიან, რომ, როდესაც ქვეყანაში სახელმწიფოს სასიცოცხლო პოლიტიკისთვის ინფრასტრუქტურა განგებ არაა და მიზნობრივად მოიშალა საკვანძო ინსტიტუციები, მაშინ ეთნოდივერსიულ ქურაზე გამოჭედილი კლანები გამოდიან თეთრი პერანგით.

აქედან გამომდინარე, დივერსიული ეთნოფაბრიკაცია, როგორც საოკუპაციო წარმოება, ჩვენთვის ყოველდღიურობად იქცა, სადაც ინკუბატორდება კოლექტიური წიწოლა, ხოლო **„წიწოლას დანაშაული აწვდენილია ცამდინა“**-ო, საუკუნის წინგაუხედაობასა და ყურდახშობას დღემდე წამგაუცდენელი გაარაგვებით მოჰკიჟინებს დიადი ვაჟა.

ყურისგდება უნდა მხოლოდ!..

აი, რად ამემგზავრა მარტოკაცობა მაყრად: **ახალნათოვზე სისხლიანი ამონახველით მივიკვლევ გზას,** იქნებ ვინმემ, - თემშარას აცდენილი თაობიდან, ეროვნული საფიხვნოსკენ მიაგნოს სვლაგეზს!

სწორედ ამიტომ, ამ წიგნუკას ვუძღვნი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედანში გამშინაარსებელ და ამის გამო წამებულ ყველა დროის მამულიშვილებს... უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს დაბადონა-შურობუმუსთვის ტანჯულ სულებს.

მკითხველო, არ დაამადლო შენი წმინდა ცრემლი მათ ჭუჭყმიუცხე-ბელ ხსოვნას!..

პატივისცემით,
სერგი საჯაია
2019 წ. 8 სექტემბერი.